

მმართველობითი ანგარიშგება  
2020 საანგარიშო წლის საქმიანობის მიმოხილვა  
აუდიტორის მოსაზრებათან ერთად

შინაარსი

|                                                                                                                    |   |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------|---|
| დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე                                        | 3 |
| 1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა                                                                                 | 4 |
| 2. კომპანიის განვითარების გეგმები                                                                                  | 5 |
| 3. კომპანიის კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა                                                               | 5 |
| 4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ                                                                         | 6 |
| 5. სუბიექტის წინაშე არსებული კომერციული და საოპერაციო რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის შესახებ | 6 |
| 6. საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა                                     | 6 |



RSM Georgia  
85, Z Paliashvili Str.  
Tbilisi 0162, Georgia  
T +995 (32) 255 88 99  
F +995 (32) 255 88 99  
[www.rsm.ge](http://www.rsm.ge)

## **დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე**

### **შპს ბურჯის მფლობელებს და ხელმძღვანელობას**

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობით ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობითი ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობითი ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობითი ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობითი ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობითი ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობითი და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობითი ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით  
გარიგების პარტნიორი: პაატა ჩუბინიძე  
2021 წლის 20 სექტემბერი

## მმართველობითი ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

### საქმიანობის შედეგების მიმოხილვა

შპს „ბურჯი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა 2001 წლის 27 ნოემბერს (რეგისტრაციის #5/4-3026). კომპანია სამართლებრივად არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია 204973742, ხოლო იურიდიული და ფაქტიური მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. # 39ა.

### 1. კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოება, უძრავ-მოძრავის ქონების გაქირავება, სამშენებლო მასალების რეალიზაცია. 2020 წლის მდგომარეობით კომპანიის წმინდა კაპიტალმა შეადგინა 16,098,643 ლარი. კომპანიამ 2020 წელს ძირითადი აქცენტი გააკეთა სარემონტო სამუშაოებსა და ტექნიკურ მომსახურებაზე, რომელსაც უწევს დაკავშირებულ მხარეებს და შეკვეცა გარკვეული პერიოდით სამშენებლო სამუშაოები.

მაღალპროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებული და თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვილი კომპანია ბაზარზე საიმედო პარტნიორი და სანდო სამშენებლო კონტრაქტორია.

კომპანიის არსებობის მანძილზე შესრულებულ პროექტების რიცხვს მიეკუთვნება:

1. საზაფხულო საკონცერტო დარბაზი ურეკში;
2. ბათუმის დელფინარიუმი;
3. ჰერბარიუმი ბოტანიკურ ბაღში;
4. კავკასიის ფრანგული სკოლა;
5. თბილისის ოპერის და ბალეტის სახელმწიფო თეატრი;
6. სასტუმრო-კომპლექსი შეკვეთილში;
7. სასტუმრო ბაკურიანში;
8. დენდროლოგიური პარკი ურეკში და სხვა.

კომპანიას შეუძლია მონაწილეობა ყველა საპროექტო ფაზასა და სამშენებლო ციკლში - დაგეგმვა/პროექტირებიდან დაწყებული, სამშენებლო სამუშაოებისა და ტექნიკური მხარდაჭერის ჩათვლით.

კომპანიამ დაიმკვიდრა სამშენებლო სამუშაოების შემსრულებელი საიმედო კომპანიის მყარი რეპუტაცია. პროექტის მართვაში კომპანიის წარმატება პროფესიულ მიდგომას ეფუძნება.

კომპანიის არსებობის მანძილზე გამოცდილება დააგროვა შემდეგი მიმართულებებში:

- მშენებლობის მართვის სრული პაკეტი, რომელიც მოიცავს მოთხოვნის შემთხვევაში საზოგადოებრივი ნაგებობებისა და საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობას/სარემონტო სამუშაოებს;

კომპანია ასევე აწარმოებს სპეც. სამუშაოებს, როგორიცაა:

- შენობა-ნაგებობების სრული აღჭურვილობა.
- წყალმომარაგება-კანალიზაცია;
- გათბობა-ვენტილაცია-კონდიციონირება;
- ელექტრო და სუსტი დენების სამონტაჟო სამუშაოები;

- ხანძარქრობის ავტომატური სისტემების მოწყობა;
- ვიდეომეთვალყურეობის სისტემების მონტაჟი.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული 2020 წლის განმავლობაში კომპანიამ ძირითადი აქცენტი გააკეთა სარემონტო სამუშაოებსა და ტექნიკურ მომსახურებაზე, რომელსაც უწევს დაკავშირებულ მხარეებს და შეკვეცა გარკვეული პერიოდით სამშენებლო სამუშაოები.

## **2. კომპანიის განვითარების გეგმები**

კომპანია ზრუნავს სამომავლო პერსპექტივებზე. ცდილობს მაქსიმალურად დააკმაყოფილოს დამკვეთის მოთხოვნები ისე, რომ შეინარჩუნოს მშენებლობის მაღალი ხარისხი.

კომპანია ამ ეტაპზე არ აპირებს საქმიანობის გაფართოვებას და ძირითადად კონცენტრირებულია მასშტაბის შემცირებაზე. კომპანიამ გეგმავს ძირითადი აქცენტი გააკეთოს სარემონტო სამუშაოებსა და ტექნიკურ მომსახურებაზე, ასევე კომპანიის მიზანია ხარჯების მომტანი ოპერაციების შემცირება, რაც დაეხმარება კომპანიას მომგებიანობის გაუმჯობესებაში.

## **3. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები და მისი განვითარების მიმოხილვა**

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ განუხორციელებია რაიმე სახის კვლევები.

არსებობის განმავლობაში კომპანიამ განვითარება ჰპოვა მრავალი მიმართულებით, მათ შორის:

- შენობა-ნაგებობების სრული აღჭურვილობა.
- წყალმომარაგება-კანალიზაცია;
- გათბობა-ვენტილაცია-კონდიცირება;
- ელექტრო და სუსტი დენების სამონტაჟო სამუშაოები;
- ხანძარქრობის ავტომატური სისტემების მოწყობა;
- ვიდეომეთვალყურეობის სისტემების მონტაჟი.
- მშენებლობის მართვის სრული პაკეტი, რომელიც მოიცავს მოთხოვნის შემთხვევაში საზოგადოებრივი ნაგებობებისა და საცხოვრებელი კომპლექსების მშენებლობას/სარემონტო სამუშაოებს;

როგორც ზემოთ არის აღნიშნული ბოლო პერიოდში კომპანიამ შეკვეცა სამუშაოები თუმცა საჭიროების და სტრატეგიის შეცვლის შემთხვევაში კომპანია მზად არის ეფექტურად დაუბრუნდეს თავდაპირველ პოზიციებს და უმოკლეს ვადებში გააგრძელოს სრული დატვირთვით საქმიანობა.

## **4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების შესახებ**

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები.

#### **5. სუბიექტის წინაშე არსებული კომერციული და საოპერაციო რისკების მიმოხილვა და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ**

კომპანიის დაგროვილმა ზარალმა საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 59,013,363 ლარი. კომპანიის შემოსავლები 2020 წელს წინა წლებთან შედარებით შემცირებულია 43%-ით და 2019 წელს - 80%-ით.

ასევე, კომპანიას გააჩნია უმოდრაო მარაგების მნიშვნელოვანი წილი (85% მთლიანი მარაგების და 60% მთლიანი აქტივების), რომლებიც არ არის წარდგენილი უმცირესით თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის.

მიუხედავად ზემოთ მოცემული ფაქტორებისა, კომპანიამ შეიმუშავა მრავალმხრივი გეგმა რაც მოცემულია ქვემოთ:

- კომპანია გეგმავს შეინარჩუნოს საქმიანობის ამჟამინდელი დონე და სრულად გადავიდეს მომსახურების მიწოდებაზე;
- ზემოაღნიშნული გეგმის მიხედვით კომპანია შეამცირებს საოპერაციო და ადმინისტრაციულ ხარჯებს და დაზოგავს დამატებით ხარჯებს, რომლებიც არ არის საჭირო მიმდინარე შემცირებული საქმიანობისთვის და დარჩება მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც აუცილებელია შემოსავლების გამომუშავებისთვის;
- კომპანიის მფლობელები საჭიროების შემთხვევაში გამოთქვამენ მზადყოფნას კაპიტალში დამატებითი ფულადი შენატანების განხორციელებაზე;
- კომპანიის მენეჯმენტმა მოამზადა საპროგნოზო ფულადი ნაკადები 1 წლის განმავლობაში, რომლის მიხედვითაც კომპანიას ექნება საკმარისი ფულადი სახსრები რომ უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტი ფუნქციონირება 1 წლის განმავლობაში.

#### **6. საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ძირითადი ფაქტორების აღწერილობა**

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე

- საკრედიტო რისკი;
- კაპიტალის რისკის მართვა;
- საბაზრო რისკი;
- სავალუტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი

##### **საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ფინანსური დანაკარგების რიცხვს იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი ან ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ზოგადად, კომპანიის საკრედიტო რისკი დაკავშირებულია საკრედიტო რეალიზაციასთან (გადახდის გადავადება).

სავაჭრო დებიტორული ანგარიშები - კლიენტის საკრედიტო რეიტინგი ფასდება საფუძვლიანი ანალიზით და ამ შეფასების საფუძველზე განისაზღვრება ინდივიდუალური საკრედიტო ლიმიტები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები - საფინანსო საქმიანობის პროცესში წარმოშობილი საკრედიტო რისკის მართვა ძირითადად ხდება ანგარიშების გახსნით მხოლოდ საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც კომპანიასთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

საკრედიტო კონტროლისა და მასთან დაკავშირებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის მნიშვნელოვან დანაკარგებს მეორე მხარეთა მიერ თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.

### კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია კაპიტალის მართვით აუმჯობესებს თავის უნარს გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და ამ გზით უზრუნველყოს დამფუძნებლისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის შესაბამისი სარგებლის გადაცემა; ამავდროულად კაპიტალის მართვით კომპანია ინარჩუნებს კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურას, რითაც ამცირებს კაპიტალის ღირებულებას.

კაპიტალი შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განმარტებული მთლიანი კაპიტალისა და წმინდა ვალდებულებებისგან, რომელიც ამ მიზნებისათვის განიმარტება, როგორც სხვაობა მიღებულ სესხებსა და ფულისა და ფულის ეკვივალენტებს შორის.

კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნებისა ან/და შეცვლის მიზნით კომპანია ცვლის დამფუძნებლისათვის გადასახდელი დივიდენდის მოცულობას, ან ვალდებულებების შემცირების მიზნით ყიდის აქტივებს.

კომპანიის კაპიტალის რისკის მართვის პოლიტიკა უცვლელია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული ფინანსური წლის შემდეგ.

| ლარი                                              | 31-დეკ-2020       | 31-დეკ-2019       |
|---------------------------------------------------|-------------------|-------------------|
| სულ კაპიტალი                                      | 16,098,643        | 18,827,884        |
| მინუს ფული და ფულადი ეკვივალენტები                | (78,597)          | (260,343)         |
| <b>სულ</b>                                        | <b>18,567,541</b> | <b>18,567,541</b> |
| სულ კაპიტალი                                      | 16,098,643        | 18,827,884        |
| საიჯარო ვალდებულება                               | -                 | 78,495            |
| მიღებული სესხები                                  | -                 | -                 |
| <b>მთლიანი დაფინანსება</b>                        | <b>18,749,389</b> | <b>18,749,389</b> |
| <b>კაპიტალის მთლიან დაფინანსებასთან შეფარდება</b> | <b>0.99</b>       | <b>0.99</b>       |

### საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილებების გამო.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.

მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობაში ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

### **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ლარის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. კომპანიას სააღგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არ გააჩნია არსებითი სავალუტო ნაშთები, რის გამოც უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

### **ლიკვიდურობის რისკი**

მოგეხსენებათ ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას, მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანიაში უზრუნველყოფილ იქნა ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას.

ლიკვიდურობის ანალიზი წარმოდგენილია აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

### **ინფორმაცია კაპიტალის შესახებ**

კომპანიის მიზნები კაპიტალის შენარჩუნებისას არის:

- დაიცვას კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების უნარი,
- შესთავაზოს დამფუძნებელს ადეკვატური დივიდენდი, სერვისების ღირებულების განსაზღვრით რისკის კანონზომიერი შეფარდებით.

თარიღი: 20 სექტემბერი, 2021

დირექტორი გიორგი ქსოვრელი

## დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

### შპს ბურჯის მფლობელებს და ხელმძღვანელებს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის საანგარიშგებო პერიოდის მმართველობით ანგარიშის მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“)

მმართველობითი ანგარიშის მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობითი ანგარიშების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობითი ანგარიში და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობითი ანგარიში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2020 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობითი ანგარიში არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობითი და ფინანსური ანგარიშის შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელდა რაიმე სახის მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობითი ანგარიშის მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობითი ანგარიში არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით  
გარიგების პარტნიორი: პაატა ჩუბინიძე  
2021 წლის 20 სექტემბერი

RSM Georgia

ს. ჩუბინიძე

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ უცხოურ ვალუტაში გამოხატული ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.

მოცემული რისკი მდგომარეობს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ან მათთან დაკავშირებული მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობაში ვალუტის კურსის (სავალუტო რისკი) ცვლილებებთან კავშირში.

#### **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ლარის კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში. კომპანიას სააღგარიშო პერიოდის ბოლოსათვის არ გააჩნია არსებითი სავალუტო ნაშთები, რის გამოც უცხოური ვალუტის კურსის ცვლილება მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

#### **ლიკვიდურობის რისკი**

მოგეხსენებათ ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის მიერ საბრუნავი კაპიტალისა და ძირითადი ვალდებულებების დაფარვის მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას, მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. კომპანიაში უზრუნველყოფილ იქნა ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა, რაც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას.

ლიკვიდურობის ანალიზი წარმოდგენილია აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

#### **ინფორმაცია კაპიტალის შესახებ**

კომპანიის მიზნები კაპიტალის შენარჩუნებისას არის:

- დაიცვას კომპანიის უწყვეტი ფუნქციონირების უნარი,
- შესთავაზოს დამფუძნებელს ადეკვატური დივიდენდი, სერვისების ღირებულების განსაზღვრით რისკის კანონზომიერი შეფარდებით.

თარიღი: 20 სექტემბერი, 2021

დირექტორი გიორგი ქსოვრელი



შპს “ზურჯი”  
ფინანსური ანგარიშგება და  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა  
31 დეკემბერი 2020

## შინაარსი

|                                                          |       |
|----------------------------------------------------------|-------|
| დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა .....                    | 2-5   |
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....                  | 6     |
| მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება..... | 7     |
| კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება.....                     | 8     |
| ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება .....             | 9     |
| ახსნა განმატრებითი შენიშვნები.....                       | 10-37 |

## **დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

შპს „ბურჯი“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

### **პირობითი მოსაზრება**

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ბურჯი“-ს (შემდგომში - „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის “პირობითი მოსაზრების საფუძველის” ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სტანდარტები“) შესაბამისად.

### **პირობითი მოსაზრების საფუძველი**

კომპანიის მარაგები მოიცავს უმოდრო ერთეულებს, ჯამური ღირებულებით 9,882,470 ლარი (2019: 10,870,034 ლარი). ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის 2 „მარაგები“ (ბასს 2) მოთხოვნების შესაბამისად, მარაგები უნდა შეფასდეს უმცირესით თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ფასს შორის. მენეჯმენტმა 2020 წლის 31 დეკემბრით მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, მარაგები წარადგინა თვითღირებულებით ისე, რომ არ განუსაზღვრია ზემოთ მოცემული მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი მტკიცებულება მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასთან დაკავშირებით, შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა საჭირო ფინანსური მდგომარეობის, მოგება ზარალის, კაპიტალის ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საერთაშორისო სტანდარტების („ასს“-ის) შესაბამისად, რომლის მიხედვითაც ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დეტალურად დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტი“-ს ნაწილში. ჩვენ ვართ დამოუკიდებელნი შპს „ბურჯიგან“ ბუღალტრთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს, გარდა ამისა, შევასრულეთ ბასს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძველის შესაქმნელად.

## **ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა**

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაზე, სადაც ნაჩვენებია, რომ კომპანიის 2020 წლის წმინდა ზარალმა შეადგინა 1,529,241 ლარი, ხოლო აკუმულირებული ზარალი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 59,013,363 ლარს. აღნიშნული მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, ექვს ბაღებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

## **სხვა ინფორმაცია**

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია 2020 წლის მმართველობის ანგარიშში.

მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე (სხვა ინფორმაციაზე).

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

ჩვენ შევასრულეთ გარკვეული პროცედურები, რაც საჭიროა კომპანიის მმართველობითი ანგარიშის შესაბამისობის შესახებ დასკვნის შესადგენად, „საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტთან დაკავშირებით და ანგარიში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოვეცით ცალკე წერილით, რომელიც თარიღდება 2021 წლის 20 სექტემბრით.

## **ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებულ უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის

გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირების პასუხისმგებლობა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობა.

### **აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე**

ჩვენი მიზანია მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობის შედეგად გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული დასკვნა მაღალი დონის რწმუნებაა, თუმცა არ არის გარანტია იმისა, რომ „ასს“-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლის ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

„ასს“-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შესაძლოა გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს არა იმიტომ, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე, არამედ დავგეგმოთ კონკრეტულ გარემოებაზე მორგებული აუდიტორული პროცედურები.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მათ მიერ განსაზღვრული საადრიცხო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ

ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ

მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

კომპანიის მმართვეის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

20 სექტემბერი, 2021

არესემ საქართველო

გარიგების პარტნიორი: პაატა ჩუბინიძე

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

| ლარი                                 | შენიშვნა | 31-დეკ-2020       | 31-დეკ-2019       |
|--------------------------------------|----------|-------------------|-------------------|
| <b>აქტივები</b>                      |          |                   |                   |
| გრძელვადიანი აქტივები                |          |                   |                   |
| ძირითადი საშუალებები                 | 4        | 4,263,909         | 4,664,638         |
| არამატერიალური აქტივები              |          | 11,190            | 15,082            |
| აქტივი გამოყენების უფლებით           |          | -                 | 41,396            |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>     |          | <b>4,275,099</b>  | <b>4,721,116</b>  |
| მიმდინარე აქტივები                   |          |                   |                   |
| მარაგები                             | 5        | 11,659,590        | 12,057,853        |
| გაცემული სესხები                     | 6        | -                 | 715,822           |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები           | 7        | 403,737           | 1,232,149         |
| საგადასახადო აქტივი                  |          | 37,415            | 68,738            |
| ფული და ფულადი ექვივალენტები         | 8        | 78,597            | 260,343           |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>     |          | <b>12,179,339</b> | <b>14,334,905</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                  |          | <b>16,454,438</b> | <b>19,056,021</b> |
| <b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>     |          |                   |                   |
| კაპიტალი                             | 9        | 75,112,006        | 76,312,006        |
| აკუმულირებული ზარალი                 |          | (59,013,363)      | (57,484,122)      |
| <b>სულ კაპიტალი</b>                  |          | <b>16,098,643</b> | <b>18,827,884</b> |
| მიმდინარე ვალდებულებები              |          |                   |                   |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები        |          | 355,795           | 149,642           |
| საიჯარო ვალდებულება                  |          | -                 | 78,495            |
| <b>სულ მიმდინარე ვალდებულებები</b>   |          | <b>355,795</b>    | <b>228,137</b>    |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b> |          | <b>16,454,438</b> | <b>19,056,021</b> |

დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 20 სექტემბერს:

დირექტორი გიორგი ქსოვრელი \_\_\_\_\_

მთავარი ბუღალტერი                      თინათინ კვირკველია

შპს „ბურჯი“  
 მოგება/(ზარალი) და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

| ლარი                              | შენიშვნა | 2020               | 2019           |
|-----------------------------------|----------|--------------------|----------------|
| შემოსავალი                        | 10       | 1,555,774          | 2,721,191      |
| გაყიდვების ღირებულება             | 11       | (1,071,203)        | (1,924,277)    |
| <b>საერთო მოგება</b>              |          | <b>484,571</b>     | <b>796,914</b> |
| ადმინისტრაციული ხარჯები           | 12       | (2,130,143)        | (1,574,198)    |
| წმინდა არასაოპერაციო შემოსავლები  | 13       | 120,619            | 1,053,052      |
| საპროცენტო შემოსავალი             | 6        | 16,877             | 32,096         |
| ფინანსური ხარჯი                   |          | -                  | (26,907)       |
| წმინდა შედეგი საკუთრივ სხვაობიდან | 14       | (21,165)           | 75,936         |
| <b>მოგება დაზღვრამდე</b>          |          | <b>(1,529,241)</b> | <b>356,893</b> |
| მოგების გადასახადი                |          | -                  | -              |
| <b>წმინდა მოგება/(ზარალი)</b>     |          | <b>(1,529,241)</b> | <b>356,893</b> |
| <b>სხვა სრული შემოსავალი</b>      |          |                    |                |
| სხვა სრული შემოსავალი             |          | -                  | -              |
| <b>სულ სხვა სრული შემოსავალი</b>  |          | <b>-</b>           | <b>-</b>       |
| <b>სულ სრული შემოსავალი</b>       |          | <b>(1,529,241)</b> | <b>356,893</b> |

დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 20 სექტემბერს:

|                   |                    |       |
|-------------------|--------------------|-------|
| დირექტორი         | გიორგი ქსოვრელი    | _____ |
| მთავარი ბუღალტერი | თინათინ კვირკველია | _____ |

შპს „ბურჯი“  
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  
 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

| ლარი                          | შენიშვნა | საწესდებო<br>კაპიტალი | დაგროვილი<br>ზარალი | სულ               |
|-------------------------------|----------|-----------------------|---------------------|-------------------|
| <b>2019 წლის 1 იანვარი</b>    |          | <b>79,328,206</b>     | <b>(57,841,015)</b> | <b>21,487,191</b> |
| კაპიტალის შემცირება           | 9        | (3,016,200)           | -                   | (3,016,200)       |
| წლის სრული შემოსავალი         |          | -                     | 356,893             | 356,893           |
| <b>2019 წლის 31 დეკემბერი</b> |          | <b>76,312,006</b>     | <b>(57,484,122)</b> | <b>18,827,884</b> |
| კაპიტალის შემცირება           | 9        | (1,200,000)           | -                   | (1,200,000)       |
| წლის სრული შემოსავალი         |          | -                     | (1,529,241)         | (1,529,241)       |
| <b>2020 წლის 31 დეკემბერი</b> |          | <b>75,112,006</b>     | <b>(59,013,363)</b> | <b>16,098,643</b> |

დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 20 სექტემბერს:

|                   |                    |       |
|-------------------|--------------------|-------|
| დირექტორი         | გიორგი ქსოვრელი    | _____ |
| მთავარი ბუღალტერი | თინათინ კვირკველია | _____ |

შპს „ბურჯი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

| ლარი                                                                 | შენიშვნა | 2020               | 2019               |
|----------------------------------------------------------------------|----------|--------------------|--------------------|
| წლის მოგება/(ზარალი)                                                 |          | (1,529,241)        | 356,893            |
| <i>კორექტირებები:</i>                                                |          |                    |                    |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                 | 12       | 443,581            | 604,559            |
| საიჭრო მოთხოვნის ანარიზი                                             | 7        | 1,109,081          | 49,602             |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება                  |          | 2,437              | 127,746            |
| ძირითადი საშუალებების ჩამოწერა                                       |          | -                  | 22,359             |
| წმინდა შედეგი საკურსო სხვაობიდან                                     | 14       | 21,165             | (75,936)           |
| საპროცენტო შემოსავლები                                               |          | (16,877)           | (32,096)           |
| ფინანსური ხარჯი                                                      |          | -                  | 26,907             |
| შემოსავალი პროცენტის პატიებისგან                                     | 13       | -                  | (1,203,157)        |
| <i>ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში:</i>              |          |                    |                    |
| მარაგების შემცირება                                                  | 5        | 398,263            | 1,454,098          |
| სავაჭრო მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება                                 | 7        | (284,040)          | 7,188,304          |
| სავაჭრო ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)                              |          | 189,271            | (375,334)          |
| საგადასახადო ზრდა/(შემცირება)                                        |          | 31,323             | (46,957)           |
| <b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადისახსრები</b>           |          | <b>364,963</b>     | <b>8,096,988</b>   |
| მიღებული პროცენტი                                                    |          | 16,877             | 16,274             |
| <b>საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>   |          | <b>381,840</b>     | <b>8,113,262</b>   |
| <i>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>                    |          |                    |                    |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                         |          | -                  | (1,653)            |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვა                                        | 13       | -                  | 658,605            |
| გაცემული სესხების წმინდა ცვლილება                                    | 6        | 715,822            | (700,000)          |
| საიჯარო ვალდებულების გადახდა                                         |          | (78,495)           | (83,340)           |
| <b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b> |          | <b>637,327</b>     | <b>(126,388)</b>   |
| <i>ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან</i>                       |          |                    |                    |
| მიღებული სესხების შემცირება                                          |          | -                  | (5,223,204)        |
| კაპიტალის შემცირება                                                  | 9        | (1,200,000)        | (3,016,200)        |
| <b>ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</b>     |          | <b>(1,200,000)</b> | <b>(8,239,404)</b> |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები 1 იანვრის მდგომარეობით</b>            | <b>8</b> | <b>260,343</b>     | <b>512,873</b>     |
| წმინდა ზრდა/(შემცირება) წლის განმავლობაში                            |          | (180,833)          | (252,530)          |
| საკურსო სხვაობის გავლენა                                             | 14       | (913)              | -                  |
| <b>ფული და ფულის ექვივალენტები 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>         | <b>8</b> | <b>78,597</b>      | <b>260,343</b>     |

დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 20 სექტემბერს:

დირექტორი გიორგი ქსოვრელი \_\_\_\_\_

მთავარი ბუღალტერი თინათინ კვირკველია \_\_\_\_\_

## 1. ანგარიშგების წარმდგენი პირი

### (ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

კომპანია დაარსდა 2001 წელს და საქართველოში. კომპანია შეიქმნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ. იურიდიული მისამართი: ვაკე-საბურთალოს რაიონი, ჭავჭავაძის გამზ. 39 ა, თბილისი, საქართველო

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო და სარემონტო სამუშაოებით მომსახურება.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელს წარმოადგენს:

| მფლობელი                                      | 2020<br>მფლობელობის<br>წილი (%) | 2019<br>მფლობელობის<br>წილი (%) |
|-----------------------------------------------|---------------------------------|---------------------------------|
| შპს „ვენითი ოვერსის ლიმიტედი“ (დედა კომპანია) | -                               | 100%                            |
| ააიპ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი “ქართუ” | 100%                            | -                               |

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთავარი მაკონროლებელი ორგანო იყო შპს „ვენით ოვერსის ლიმიტედი“ რომელიც რეგისტრირებულია ბრიტანეთში, ვირჯინიის კუნძულებზე.

2020 წლის 30 დეკემბერს, შპს „ვენით ოვერსის ლიმიტედი“ კომპანიის 100% წილი უსასყიდლოდ გადასცა ააიპ საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ “ქართუ”-ს.

## 2. საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას, საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შესახებ, კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

საქართველოს ეკონომიკა გარკვეული სტრუქტურული გამოწვევებით ხასიათდება, რამაც COVID-19 პანდემიით გამოწვეული რეცესიის პირობებში საგარეო ფაქტორების მიმართ მოწყვლადობის რეალიზება გამოიწვია. საქართველო მცირე ზომის ღია ეკონომიკაა დოლარიზაციის ჯერ კიდევ მაღალი მაჩვენებლით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტითა და საერთაშორისო ფინანსურ ნაკადებზე მზარდი დამოკიდებულებით, რაც გლობალური ეკონომიკური და ფინანსური ტენდენციების მიმართ მოწყვლადობას განაპირობებს. მსოფლიო მასშტაბით COVID-19 პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკურმა კრიზისმა, კერძოდ კი ისეთმა გარემოებებმა, როგორებიცაა მნიშვნელოვნად შემცირებული ეკონომიკური აქტივობა, ფინანსური ნაკადების შემოდინების კლება, განვითარებად ქვეყნებში გაზრდილი რისკის პრემია და, ასევე, პანდემიის გავრცელებასა და მის ხანგრძლივობასთან დაკავშირებული გაურკვევლობა, საქართველოს ეკონომიკის საგარეო ფაქტორების მიმართ

მოწყვლადობის რეალიზება გამოიწვია. შესაბამისად, გაზრდილია ფინანსური სტაბილურობის რისკებიც.

### 3. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს სრანდარტები“) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილების, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და განმარტებით შენიშვნებს. შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს ხარჯების ფუნქციურ კლასიფიკაციას. კომპანია მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნესის თვალსაზრისით.

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არა საბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულის ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით.
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით)
- დონე 3 – სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

### **ფუნქციონირებადი საწარმო**

კომპანია დგას გარკვეული ფინანსური და საოპერაციო სირთულეების წინაშე, რაც ქვემოთ არის აღწერილი.

- კომპანიის წმინდა ზარალმა 2020 წელს შეადგინა 1,529,241 ლარი;
- კომპანიის დაგროვილი ზარალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 59,013,363 ლარს;
- COVID-19 და ეკონომიკური გაურკვევლობის შესაძლო უარყოფითი გავლენა კომპანიის საქმიანობაზე.

ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მნიშვნელოვან ეჭვს ბადებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, კომპანიის უნართან დაკავშირებით, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

### **შემასუსტებული ფაქტორები:**

მენეჯმენტმა შეიმუშავა გეგმა აღნიშნული სირთულეებისა და გამოწვევების დასაძლევად, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

- კომპანია გეგმავს შეინარჩუნოს საქმიანობის ამჟამინდელი დონე და სრულად გადავიდეს მომსახურების მიწოდებაზე;
- ზემოაღნიშნული გეგმის მიხედვით კომპანია შეამცირებს საოპერაციო და ადმინისტრაციულ ხარჯებს და დაზოგავს დამატებით ხარჯებს, რომლებიც არ არის საჭირო მიმდინარე შემცირებული საქმიანობისთვის და დარჩება მხოლოდ ის ხარჯები, რომლებიც აუცილებელია შემოსავლების გამომუშავებისთვის;
- კომპანიის მფლობელები საჭიროების შემთხვევაში გამოთქვამენ მზადყოფნას კაპიტალში დამატებითი ფულადი შენატანების განხორციელებაზე;
- კომპანიის მენეჯმენტმა მოამზადა საპროგნოზო ფულადი ნაკადები 1 წლის განმავლობაში, რომლის მიხედვითაც კომპანიას ექნება საკმარისი ფულადი სახსრები რომ უზრუნველყოს საქმიანობის უწყვეტი ფუნქციონირება 1 წლის განმავლობაში.

ზემოთ აღნიშნული სამოქმედო გეგმა ხელს შეუწყობს კომპანიას ფინანსური და საოპერაციო მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ამ შემასუსტებელი ფაქტორების გათვალისწინებით მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არ არსებობს ფუნქციონირებადი საწარმოს რისკი.

#### **ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა**

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“), რომელიც კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს.

#### **(ა) ძირითადი საშუალებები**

##### **აღიარება და შეფასება**

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, ასევე აქტივის დემონტაჟის და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას. შეფასებითი დანახარჯები აისახება რეზერვის სახით. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების ჯგუფი მოიცავს კომპონენტებს, რომელთა გამოყენების ვადა და ექსპლუატაციის პერიოდი განსხვავდება, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე როგორც ძირითადი საშუალების ცალკეული კომპონენტები. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხორციელდება თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. კომპანიის საკუთრებაში არსებული ძირითადი საშუალებები არ განეკუთვნება ისეთი აქტივების კატეგორიას, რომელთა ღირებულებებიც ხშირად იცვლება.

ძირითადი საშუალების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

##### **შემდგომი ხარჯები**

ძირითადი საშუალებების ერთეულის ჩანაცვლების ღირებულება აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებით, თუ იგი უზრუნველყოფს მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოსვლას კომპანიაში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვის ყოველდღიური ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგება ან ზარალში.

##### **ცვეთა**

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოყენების მზადყოფნაში მოსვლის დღიდან. რაც შეეხება კომპანიის მიერ აშენებულ აქტივებს, მათი ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების საბოლოო მდგომარეობამდე მიყვანის და მათი გამოყენებისთვის მზაობის დღიდან.

ცვეთა აისახება მოგება ან ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას. იჯარით აღებულ

## შპს „ბურჯი“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის ან იჯარის ხანგრძლივობის მიხედვით უმცირესით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც გონივრულ ფარგლებში სარწმუნოა, რომ საკუთრების უფლების მოპოვება კომპანიის მიერ მოხდება იჯარით აღებულ აქტივზე. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

|                                 |           |
|---------------------------------|-----------|
| შენობები                        | 50 წელი   |
| მანქანა დანადგარები             | 10 წელი   |
| ავეჯი და სხვა საოფისე ინვენტარი | 3-10 წელი |
| სატრანსპორტო საშუალებები        | 10 წელი   |

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

### (ბ) აქტივის გამოყენების უფლება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს: 1) საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; 2) საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; 3) მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს; 4) იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით, რომელსაც გამოაკლდება დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი და დაკორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით.

კომპანია არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებასა და შესაბამის საიჯარო ვალდებულებას მოკლევადიანი იჯარებისათვის (12 თვე ან ნაკლები) და იმ იჯარებისათვის, რომელთა საიჯარო აქტივს დაბალი ღირებულება აქვს. საიჯარო გადახდებზე გაწეული ხარჯები აღიარდება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

### (გ) ფინანსური ინსტრუმენტები

#### ამორტიზირებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზირებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს სესხის ძირი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს დაგროვილი

ამორტიზაცია, თავდაპირველ ღირებულებასა და დასაფარ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი და მინუს (პირდაპირ, ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი, ან თანხის ამოუღებლობით (უიმედო ვალით) წარმოქმნილი ნებისმიერი დანაკარგები.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო ზარალი. გაანგარიშება მოიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ყველა სხვა პრემიასა და ფასდათმობას. არსებობს ვარაუდი, რომ მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მოსალოდნელი ვადა და ფულადი ნაკადები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს.

როდესაც კომპანიის მიერ ხდება მომავალი ფულადი ნაკადების გადახედვა შესაბამისი ფინანსური აქტივი ან ვალდებულება კორექტირდება, რათა აისახოს ცვლილებები. კომპანიის მიერ ნებისმიერი ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალში.

### **საპროცენტო შემოსავალი**

საპროცენტო ამონაგები საწარმომ უნდა გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. საწარმომ ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, არამედ შემდგომში გახდა საკრედიტო რისკის გავლენით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამგვარი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწარმომ, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

### **თავდაპირველი აღიარება**

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვისას ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისათვის კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებისთანავე, აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ანარიცხს მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან ორგანიზაცია ფინანსურ ინსტრუმენტებს ამ თარიღისთვის აღრიცხავს შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ეყრდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები. ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში, რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ისეთი ფაქტორის ცვლილებით (დროის ფაქტორის ჩათვლით), რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

### **ფინანსური აქტივები**

#### **კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება**

კომპანია ფინანსურ აქტივებს აფასებს მომდევნო სამი კატეგორიიდან ერთ-ერთის მიხედვით:

- სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით;
- ამორტიზირებული ღირებულებით.

#### **სავალო ინსტრუმენტები**

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი, რომელიც შეესაბამება განმარტებას, რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას. სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის და

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

- ამორტიზირებული ღირებულება: ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ფინანსური აქტივი, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები ასახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება კაპიტალიდან მოგება-ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

- რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით: აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზირებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ბიზნეს მოდელი: ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში, ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

SPPI ტესტი: ბიზნეს მოდელის იმ კატეგორიას, სადაც აქტივების ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და გაყიდვა, კომპანია აფასებს ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირის და პროცენტის გადახდას (SPPI ტესტი).

შეფასებისას, კომპანია განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულ გადახდებს საკრედიტო შეთანხმების მიხედვით. მაგალითად, პროცენტი მოიცავს თუ არა ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირითადთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკსა და გასესხებასთან დაკავშირებულ სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას. თუ სახელშეკრულებო პირობები მნიშვნელოვნად ზრდის რისკს ან არასტაბილურობას, რაც არ არის შესაბამისობაში სესხის ძირითად

ხელშეკრულებასთან, დაკავშირებული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას.

### **წილობრივი ინსტრუმენტები**

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები.

### **გაუფასურება**

კომპანია გამატრივებული მეთოდის პრინციპიდან გამომდინარე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს (ECL), იმ ტიპის ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით.

ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;
- ფულის დროით ღირებულებას; და
- გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევის გარეშე.

დებიტორულ დავალიანებებს, რომლებიც კომპანიის შეფასებით არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია აუფასურებს ჯგუფურად, წინა წლების გადახდების გათვალისწინებით.

### **აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი:

- 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან
- 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

### **ფინანსური ვალდებულებები**

### კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიანიჭოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;

ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.

გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა.

### აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრულებდა - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

### (დ) ავანსები

ავანსები წარმოდგენილია გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. ავანსი კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები სავარაუდოდ მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან როცა ავანსი უკავშირდება აქტივს, რომელიც თვითონ კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივად აღიარდება მას შემდეგ, რაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და აშკარა გახდება რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. სხვა ავანსები ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში, როცა ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები იქნება მიღებული. თუ არის მინიშნება, რომ

ავანსთან დაკავშირებული აქტივები, საქონელი ან მომსახურებები არ იქნება მიღებული, ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისად აღიარდება გაუფასურების შედეგად წარმოქმნილი ზარალი წლის მოგებასა ან ზარალში.

#### (ე) მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება - საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი. მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. შეძენის დანახარჯების დათვლისას გაანგარიშებული თანხა შემცირდება სავაჭრო დათმობის, სხვადასხვა სახის ფასდათმობისა და სხვა ანალოგიური მუხლების ღირებულებით.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდგომ.

მარაგები გზაში წარმოადგენს საქონელს, რომელიც გამყიდველის მიერ გამოგზავნილია, მაგრამ ჯერ ვერ მიაღწია მყიდველის მიერ განსაზღვრულ დანიშნულების ადგილამდე. მარაგები გზაში კლასიფიცირდება გამოიყენება იმის დასადგენად, რომ კომპანიას აქვს საკუთრების უფლება მარაგებზე, რომლებიც ტრანსპორტირების პროცესშია.

#### (ვ) ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

#### (ზ) საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, მოიჯარე იყენებს მოიჯარის ზღვრულ სასესხო განაკვეთს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის: 1) ფიქსირებულ გადახდებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; 2) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; 3) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; 4) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას; 5) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის

ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად:  
 1) ზრდის საბალანსო ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვის მიზნით; 2) ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით; 3) ხელახლა აფასებს საბალანსო ღირებულებას ხელახალი შეფასების შედეგის, ან იჯარის მოდიფიკაციების, ან გადასინჯული (შესწორებული) არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდების ასახვის მიზნით. როდესაც ხდება საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასება, კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ აქტივის გამოყენების უფლება სრულადაა ჩამოწერილი, სხვაობა აისახება მოგება/(ზარალის) ანგარიშგებაში.

#### (თ) კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

#### (ი) დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

#### (კ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

|                                                    | დოლარი | ევრო   |
|----------------------------------------------------|--------|--------|
| გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრის              | 3.2766 | 4.0233 |
| გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით | 2.8677 | 3.2095 |

#### (ლ) მოგების გადასახდი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ

აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

#### **(მ) შემოსავლები**

ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავალი აღიარდება კომპენსაციის იმ მოცულობით, რომლის მიღებასაც კომპანია ელის საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის სანაცვლოდ. მომხმარებლებთან გაფორმებული თითოეული ხელშეკრულებისათვის კომპანია: ახდენს კონტრაქტის იდენტიფიცირებას; ახდენს შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიცირებას; ადგენს გარიგების ფასს, რომელშიც ითვალისწინებს როგორც ცვლად კომპენსაციებს, ასევე ფულის დროით ღირებულებას; ახდენს გარიგების ფასის განაწილებას შესასრულებელ ვალდებულებებზე; აღიარებს შემოსავალს იმ მომენტში, როდესაც ასრულებს გარიგებით დადგენილ შესასრულებელ ვალდებულებას.

ანაზღაურების ოდენობა შეიძლება იცვლებოდეს ფასდაკლების, სხვადასხვა სახის სპეციალური ფასდათმობის, ფულადი სახსრების დაბრუნების, კრედიტის, ფასის კონცესიის, მასტიმულირებელი ფასების, საქმიანობის შედეგებზე დაფუძნებული ბონუსების, ჯარიმების ან სხვა მსგავსი მუხლების შედეგად. დაპირებული ანაზღაურება შეიძლება იმ შემთხვევაშიც იცვლებოდეს, როდესაც საწარმოს უფლება ანაზღაურების მიღებაზე დამოკიდებულია სამომავლო მოვლენის მოხდენაზე ან არმოხდენაზე. მაგალითად, ანაზღაურების ოდენობა ცვალებადი იქნება, თუ პროდუქტი გაიყიდა უკან დაბრუნების უფლებით, ან ხელშეკრულებაში საქმიანობის შედეგის საფუძველზე ბონუსის სახით ფიქსირებული თანხა გათვალისწინებული კონკრეტული ეტაპის დასრულებისთვის.

#### **საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი**

საქონლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი აღიარდება იმ მომენტში, როდესაც მყიდველი მოიპოვებს კონტროლს საქონელზე - ეს თარიღი ძირითადად ემთხვევა საქონლის მიწოდების დროს.

#### **შემოსავალი მომსახურების გაწევიდან**

შემოსავალი კონტრაქტიდან, რომელიც ითვალისწინებს მომსახურების გაწევას, აღიარდება დროის განმავლობაში მომსახურების გაწევის მომენტში ფიქსირებული ფასით, ან საათობრივი განაკვეთის შესაბამისად.

#### **საიჯარო შემოსავალი**

საიჯარო შემოსავალი იჯარის პერიოდის განმავლობაში აღიარდება წრფივი მეთოდით ყოველთვიურად, ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

#### **სხვა შემოსავალი**

სხვა შემოსავალი აღიარდება, მაშინ როდესაც ის გამომუშავდება, ან კომპანია მიიღებს ფულადი ნაკადების მოთხოვნის უფლებას.

#### **(ნ) ხარჯები**

ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, როდესაც შესაძლებელია დანახარჯის თანხის საიმედოდ შეფასება და მოსალოდნელია კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინება.

### კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მენეჯმენტისგან მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებებზე მოქმედი შეფასებებისა და დაშვებების მომზადებას. მენეჯმენტი მუდმივად აფასებს თავის განსჯებსა და შეფასებებს აქტივების, ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების მიმართ. მენეჯმენტი თავის მოსაზრებებს, შეფასებებსა და მოსაზრებებს ეყრდნობა ისტორიულ გამოცდილებას და სხვა სხვადასხვა ფაქტორებს, მომავალი მოვლენების მოლოდინების ჩათვლით, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ გონივრული უნდა იყოს ამ პირობებში. შედეგად მიღებული სააღრიცხვო გადაწყვეტილებები და შეფასებები შეესაბამება რეალურ შედეგებს.

**საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები.** საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების აღიარებისას, კომპანიის ვალდებულება შესრულებულად ითვლება საქონლის მომხმარებლისთვის მიწოდების მომენტში, რადგან თვლიან, რომ ეს არის დრო, როდესაც მომხმარებელს გადაეცემა კონტროლი ზემოთაღნიშნულ საქონელზე.

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის განსაზღვრა მოითხოვს შეფასებას და მსჯელობას. იგი დაფუძნებულია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, რომელიც დაჯგუფებულია ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე და აკეთებს ვარაუდს, განისაზღვროს მთლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი თითოეული ჯგუფისათვის. ეს ვარაუდები ეფუძნება ბოლოდროინდელი გაყიდვების და ისტორიულ გამოცდილებებს.

**მარაგების გაუფასურება.** მარაგების გაუფასურების ანარიცხის შეფასება საჭიროებს შეფასებას და მსჯელობას. ანარიცხის დონის შეფასება ხდება იმ ბოლოდროინდელი გაყიდვების გამოცდილების, მარაგების დამკვეთების და სხვა ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც გავლენას ახდენს მარაგების ფასის განსაზღვრაზე.

**აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა.** კომპანია განსაზღვრავს სასარგებლო სიცოცხლის მომსახურების ვადას, თავისი ძირითადი საშუალებების და განსაზღვრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის. სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება მნიშვნელოვნად შეიცვალოს ტექნიკური ინოვაციების ან რაიმე სხვა მოვლენის შედეგად. ცვლისა და ამორტიზაციის ოდენობა გაიზრდება როცა აქტივის გამოყენების ვადა იქნება ნაკლები ვიდრე ადრე შეფასებული მომსახურების ვადა.

**საიჯარო ვადა.** საიჯარო ვადა მნიშვნელოვანი კომპონენტია როგორც აქტივის გამოყენების უფლების, ისე საიჯარო ვალდებულებების გაზომვაში.

მსჯელობები ხორციელდება იმის დასადგენად, არის თუ არა გონივრული რწმუნება, რომ გამოყენებული იქნება საიჯარო ხელშეკრულების გაგრძელების ან ძირითადი აქტივის შეძენის ოფციონი, ან არ იქნება გამოყენებული საიჯარო ხელშეკრულების შეჩერების ვარიანტი, საიჯარო ვადაში შესატანი პერიოდების დადგენისას. საიჯარო ვადის დადგენისას, ყველა ფაქტი და გარემოება, რომელიც ქმნის ეკონომიკურ სტიმულს ვადის გაგრძელების ოფციონის გამოყენებისთვის, ან შეწყვეტის ოპციონის გამოყენებისათვის, განიხილება იჯარის დაწყების დღეს. განხილული ფაქტორები შეიძლება მოიცავდეს აქტივის მნიშვნელობას კომპანიის საქმიანობისთვის; პირობების შედარება არსებულ საბაზრო განაკვეთებთან; მნიშვნელოვანი ჯარიმების დაკისრება; უკვე არსებული იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა; ხარჯები და აქტივის ჩანაცვლების მოშლა. კომპანია აფასებს, გონივრულია თუ არა გაგრძელების ოპციონის გამოყენება, ან შეწყვეტის ოპციონის გამოყენება, თუ მოხდა მნიშვნელოვანი მოვლენა ან გარემოებების მნიშვნელოვანი ცვლილება.

**ზღვრული სასესხო განაკვეთი.** თუ საპროცენტო განაკვეთი საიჯარო პირობებში მარტივად ვერ განისაზღვრება, ზღვრული სასესხო განაკვეთის დამატებითი სესხის პროცენტის დაანგარიშება ხდება მომავალი საიჯარო გადასახადების დისკონტირებით, რომ მოხდეს საიჯარო ვალდებულების ამჟამინდელი ღირებულების განსაზღვრა იჯარის დაწყების მომენტში. ასეთი განაკვეთი ემყარება იმას, რასაც კომპანია აფასებს, რომ მას მესამე მხარის გადახდა მოუწევს, სესხის მისაღებად საჭირო სახსრების მისაღებად საჭირო აქტივის მსგავსი ღირებულების აქტივის მოსაპოვებლად, მსგავსი პირობებით, უსაფრთხოებით და ეკონომიკური გარემოთი. ასეთი განაკვეთი ემყარება იმას, რაც კომპანიის შეფასებით, მას მესამე მხარისთვის უნდა გადაეხადა მესამე მხარისგან სესხის მიღების შემთხვევაში რომ მიეღო მსგავსი აქტივი გამოყენების უფლებით, მსგავს პირობებში და ეკონომიკური გარემოში.

#### **ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება**

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7) და
- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება);
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები

**ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც კომპანიამ გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“- (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის.

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

მენეჯმენტის შეფასების აღნიშნულ ცვლილებებს არ ექნება მნიშვნელოვანი ზეგავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „ბურჯი“  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

4. ძირითადი საშუალებები

| ლარი                           | მიწა           | შენობები         | მანქანა-<br>დანადგარები | სატრანსპორტო<br>საშუალებები | ოფისის<br>აღჭურვილობა | ავეჯი         | სხვა         | სულ              |
|--------------------------------|----------------|------------------|-------------------------|-----------------------------|-----------------------|---------------|--------------|------------------|
| ისტორიული ღირებულება           |                |                  |                         |                             |                       |               |              |                  |
| <b>1 იანვარი 2019</b>          | 708,113        | 3,222,746        | 2,908,355               | 3,004,755                   | 358,145               | 78,852        | 6,052        | 10,287,018       |
| შეძენა                         | -              | -                | 1,653                   | -                           | -                     | -             | -            | 1,653            |
| გასვლა                         | -              | -                | (790,071)               | (1,275,323)                 | -                     | (1,360)       | -            | (2,066,754)      |
| ჩამოწერა                       | -              | -                | (28,624)                | (25,775)                    | (527)                 | -             | -            | (54,926)         |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>       | 708,113        | 3,222,746        | 2,091,313               | 1,703,657                   | 357,618               | 77,492        | 6,052        | 8,166,991        |
| გასვლა                         | -              | -                | -                       | -                           | (3,820)               | -             | -            | (3,820)          |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>       | 708,113        | 3,222,746        | 2,091,313               | 1,703,657                   | 353,798               | 77,492        | 6,052        | 8,163,171        |
| დაგროვილი ცვეთა                |                |                  |                         |                             |                       |               |              |                  |
| <b>1 იანვარი 2019</b>          | -              | 914,830          | 1,642,857               | 1,348,898                   | 299,691               | 46,775        | 4,178        | 4,257,229        |
| წლის ცვეთა                     | -              | 124,377          | 296,918                 | 114,719                     | 14,831                | 6,177         | 1,072        | 558,094          |
| გასვლაზე ელიმინირებული ცვეთა   | -              | -                | (579,612)               | (699,327)                   | -                     | -             | (98)         | 1,279,037)       |
| ჩამოწერაზე ელიმინირებული ცვეთა | -              | -                | (14,705)                | (18,201)                    | (249)                 | (678)         | (100)        | (33,933)         |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>       | -              | 1,039,207        | 1,345,458               | 746,089                     | 314,273               | 52,274        | 5,052        | 3,502,353        |
| წლის ცვეთა                     | -              | 124,377          | 161,551                 | 93,984                      | 12,577                | 5,637         | 166          | 398,292          |
| გასვლაზე ელიმინირებული ცვეთა   | -              | -                | -                       | -                           | (1,383)               | -             | -            | (1,383)          |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>       | -              | 1,163,584        | 1,507,009               | 840,073                     | 325,467               | 57,911        | 5,218        | 3,899,262        |
| წმინდა საბალანსო ღირებულება    |                |                  |                         |                             |                       |               |              |                  |
| <b>1 იანვარი 2019</b>          | <b>708,113</b> | <b>2,307,916</b> | <b>1,265,498</b>        | <b>1,655,857</b>            | <b>58,454</b>         | <b>32,077</b> | <b>1,874</b> | <b>6,029,789</b> |
| <b>31 დეკემბერი 2019</b>       | <b>708,113</b> | <b>2,183,539</b> | <b>745,855</b>          | <b>957,568</b>              | <b>43,345</b>         | <b>25,218</b> | <b>1,000</b> | <b>4,664,638</b> |
| <b>31 დეკემბერი 2020</b>       | <b>708,113</b> | <b>2,059,162</b> | <b>584,304</b>          | <b>863,584</b>              | <b>28,331</b>         | <b>19,581</b> | <b>834</b>   | <b>4,263,909</b> |

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ძირითადი საშუალებები არ ქონდა ჩადებული უზრუნველყოფაში. კომპანიას აქვს სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალებები 252,378 ლარის თვითღირებულებით და აგრძელებს მის გამოყენებას.

შპს „ბურჯი“  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

5. მარაგები

| ლარი                         | 31-დეკ-2020       | 31-დეკ-2019       |
|------------------------------|-------------------|-------------------|
| ნედლეული მასალები            | 11,349,628        | 11,818,696        |
| ავტომობილის ნაწილები         | 216,423           | 139,599           |
| მზა მარაგები                 | 87,626            | 87,626            |
| საწვავი და საპოხი საშალებები | 5,913             | 11,932            |
| <b>სულ</b>                   | <b>11,659,590</b> | <b>12,057,853</b> |

კომპანიას გააჩნია უმოძრაო მარაგები 9,882,470 ლარის ღირებულებით, რომელიც მთლიანად შედგება ნედლეული მასალებისგან. მენეჯმენტმა მარაგები არ წარდგინა უმცირესით, ნეტო სარეალიზაციო ფასსა და თვითღირებულებას შორის, არამედ წარადგინა თვითღირებულებით.

6. გაცემული სესხები

| ლარი              | 31-დეკ-2020 | 31-დეკ-2019    |
|-------------------|-------------|----------------|
| სესხის ძირი       | -           | 700,000        |
| მისაღები პროცენტი | -           | 15,822         |
| <b>სულ</b>        | <b>-</b>    | <b>715,822</b> |

გაცემული სესხი დაიფარა 2020 წლის აპრილში.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| ლარი                                                 | 31-დეკ-2020      | 31-დეკ-2019      |
|------------------------------------------------------|------------------|------------------|
| სავაჭრო მოთხოვნები                                   | 7,749,421        | 7,534,339        |
| გადახდილი ავანსები                                   | 1,055,876        | 990,287          |
| მოთხოვნები თანამშრომლებისგან                         | 860              | 1,358            |
| სხვა მოთხოვნები                                      | 7,204            | 6,708            |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>                | <b>8,813,361</b> | <b>8,532,692</b> |
| <i>რეზერვის მოძრაობა</i>                             |                  |                  |
| საექვო მოთხოვნების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით    | (7,300,543)      | (7,250,941)      |
| წმინდა ცვლილება                                      | (1,109,081)      | (49,602)         |
| საექვო მოთხოვნების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით | (8,409,624)      | (7,300,543)      |
| <b>წმინდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>             | <b>403,737</b>   | <b>1,232,149</b> |

ავანსები გადახდილია სასაქონლო მატერიალური მარაგების მომწოდებლებზე.

შპს „ბურჯი“  
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

| გაუფასურების რეზერვი კლასიფიკაციის მიხედვით | 31-დეკ-2020      | 31-დეკ-2019      |
|---------------------------------------------|------------------|------------------|
| რეზერვი სავაჭრო მოთხოვნებზე                 | 7,511,530        | 6,306,858        |
| რეზერვი გადახდილ ავანსებზე                  | 891,263          | 986,142          |
| რეზერვი თანამშრომლებზე მოთხოვნისგან         | 717              | 1,360            |
| რეზერვი სხვა მოთხოვნებზე                    | 6,114            | 6,183            |
| <b>სულ რეზერვი</b>                          | <b>8,409,624</b> | <b>7,300,543</b> |

სავაჭრო მოთხოვნებისთვის ხელმძღვანელობა იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცილების დონე:

ნაკლები 30 დღეზე, 31-90 დღე, 91-180 დღე, 181-360 დღე და 360 დღეზე მეტი.

